

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/119

2020 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

**ჰიდროენერჯისა და ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვის
ნორმალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ**

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცეს თანდართული ჰიდროენერჯისა და ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესი (დანართი №1).
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

ნათელა თურნავა



ჰიდროენერჯისა და ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესი

მუხლი 1. ჰიდროენერჯისაგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვა

1. ჰიდროენერჯით გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$Q_{N(norm)} = C_N \times \left[\sum_{i=N-14}^N \frac{Q_i}{C_i} \right] / 15$$

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფორმულაში გამოყენებულ სიმბოლოებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

ა) N = საანგარიშო წელი;

ბ) $Q_{N(norm)}$ = საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ნორმალიზებული ელექტროენერჯია N წელში, აღრიცხვის მიზნებისთვის;

გ) Q_i = საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა i წელში აღრიცხული გვტ.სთ-ში, გარდა ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის აგრეგატების მიერ მაღალ დონეზე ამოტუმბული წყლის გამოყენებით წარმოებული ელექტროენერჯისა;

დ) C_i = i წლის ბოლოს საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგურის მთლიანი დადგმული სიმძლავრე, გარდა ჰიდრომააკუმულირებელი სადგურისა, აღრიცხული მგვტ-ში.

მუხლი 2. ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვა

1. ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$Q_{N(norm)} = \frac{C_N + C_{N-1}}{2} \times \frac{\sum_{i=N-n}^N Q_i}{\sum_{j=N-n}^N \left(\frac{C_j + C_{j-1}}{2} \right)}$$

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფორმულაში გამოყენებულ სიმბოლოებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობანი:

ა) N = საანგარიშო წელი;

ბ) $Q_{N(norm)}$ = საქართველოს ქარის ყველა ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ნორმალიზებული ელექტროენერჯია N წელში, აღრიცხვის მიზნებისთვის;

გ) Q_i = i წელში საქართველოს ქარის ყველა ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა, აღრიცხული გვტ.სთ-ში;

დ) C_j = საქართველოს ქარის ყველა ელექტროსადგურის მთლიანი დადგმული სიმძლავრე j წლის ბოლოს, აღრიცხული მგვტ-ში;

ე) $n = 4$ ან N წლამდე წლების რაოდენობა, რომლისთვისაც სიმძლავრისა და წარმოების მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოში, იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ნაკლები.